

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საგამოფენო დარბაზში
2019 წელს ჩატარებული
ღონისძიებები

1. ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გასვლითი გამოფენა თბილისში.

პროექტის დასახელება: ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გასვლითი გამოფენა.

პროექტის მოკლე აღწერა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი მონაწილეობას იღებს გასვლით გამოფენებში, რათა საზოგადოებას წარუდგინოს და გააცნოს ფოთელი მხატვრების შემოქმედება.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია საზოგადოებამ უკეთ გაიცნოს თანამედროვე ქართველი მხატვრები და მათი შემოქმედება.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 4 თებერვალს საქართველოს მხატვართა კავშირის გალერეა „ოპიზარში“ გაიხსნა ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო მხატვრის მიერ შესრულებული 55 ფერწერული ტილო.

პროექტის შედეგი: გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა და წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე.

2. ფოთელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა

პროექტის დასახელება: საქართველოს მხატვართა კავშირის ფოთის რეგიონალური ორგანიზაციის წევრების ნამუშევართა გამოფენა

პროექტის მოკლე აღწერა: ტრადიციულად ქალაქ ფოთი მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი მასპინძლობს ფოთელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენას.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ფართო საზოგადოებამ გაიცნოს თანამედროვე ფოთელ მხატვართა შემოქმედება.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 5 მარტს გაიხსნა ქალაქ ფოთის მხატვართა კავშირის წევრების ნამუშევართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო: ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები სულ (62 ნამუშევარი).

პროექტის შედეგი: პროექტის შედეგად, ფართო საზოგადოებამ გაიცნო საქართველოს მხატვართა კავშირის ფოთის რეგიონალური ორგანიზაციის წევრები და მათი შემოქმედება. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებლებში. ქალაქის საჯარო სკოლებიდან მოწვეულ მოსწავლეებს საგამოფენო დარბაზში ჩაუტარდათ ღია გაკვეთილები, სადაც საგამოფენო დარბაზის სპეციალისტებმა მათ ფოთელ მხატვართა შემოქმედება გააცნეს.

3. საგამოფენო დარბაზის ფონდის ნამუშევრების გამოფენა

პროექტის დასახელება: საგამოფენო დარბაზის ფონდის ნამუშევრების გამოფენა.

პროექტის მოკლე აღწერა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი ტრადიციულად აწყობს ფონდის ნამუშევრების გამოფენას, რაც ითვალისწინებს დარბაზის ფონდში დაცული ფერწერული ტილოების გამოფენას და გაცნობას დამთვალიერებელთათვის.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია მოსახლეობამ გაიცნოს, დაათვალიეროს და შეაფასოს ქართველი თუ უცხოელი მხატვრების შემოქმედება.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 15 მაისს მოეწყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის ფონდის ნამუშევრების გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც ქართველი ისე უცხოელი მხატვრების შემოქმედება (სულ 29 ფერწერული ნამუშევარი).

პროექტის შედეგი: გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. სტუმრებმა დაათვალიერეს და შეაფასეს გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები. ასევე გამოფენაზე მოწვეულები იყვნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები, რომელთაც ღია გაკვეთილი ჩაუტარდათ ხელოვნებაში.

4. ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

პროექტის დასახელება: ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

პროექტის მოკლე აღწერა: აფხაზეთის მხატვართა კავშირის წევრის მხატვრ ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 34 აბსტრაქტული ნამუშევარი. მასალა ტილო/ზეთი.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია მხატვრის უახლესი შემოქმედების გაცნობა დამთვალიერებელთათვის.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 6 აგვისტოს გაიხსნა ხუტა კვარაცხელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში.

პროექტის შედეგი: გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა და წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. ასევე გამოფენაზე მოწვეულები იყვნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები და ჩაუტარდათ ღია გაკვეთილები ხელოვნებაში.

5. ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის გამოფენა

პროექტის დასახელება: ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის გამოფენა

პროექტის მოკლე აღწერა: ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი ყოველწლიურად აწყობს გამოფენას, სადაც წარმოდგენილია ნამუშევრები სასწავლებლის ყველა ფაკულტეტიდან. ტრადიციულად, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კერამიკის, მოდელირების, ხის დამუშავებისა და ქსოვილების ფაკულტეტის ნამუშევრები, სულ 40 ნამუშევარი.

პროექტის მიზანი: ყოველწლიური გამოფენის მიზანია საზოგადოებას გააცნოს ქ.ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტებისა და პედაგოგების შემოქმედება.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ნამუშევრების გამოფენა.

პროექტის შედეგი: გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დამთვალიერებლების აღფრთოვანება გამოიწვია და მათგან დიდი მოწონებაც დაიმსახურა. გამოფენაზე ასევე მოწვეულები იყვნენ ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების, სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეები.

6. პროექტი „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის დასახელება: „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის მოკლე აღწერა: პროექტის იდეა ეკუთვნით ფოთელ ახალგაზრდებს: ლუკა ცომიას, ხატია კუპრაძეს, თამარ გუჯაბიძესა და ანანო ზარანდიას. მათი სურვილი იყო გამოეცათ წიგნი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ფოთელი ახალგაზრდების შემოქმედება. წიგნის გამოცემა ითვალისწინებდა როგორც ახალგაზრდა მწერლებისა თუ პოეტების, ისე მხატვარ-გრაფიკოსების გამოვლენას სხვადასხვა კონკურსის შედეგად.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ქალაქის ნიჭიერ, შემოქმედ მოსწავლეთა გამოვლენა და მათი აზრებისა და შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 1 ოქტომბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზში ჩატარდა პირველი კონკურსი მოსწავლეთათვის სახელწოდებით: „საუკეთესო ესე“, სადაც ქ. ფოთის საჯარო თუ კერძო სკოლის 20მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

პროექტის შედეგი: კონკურსში მონაწილე მოსწავლეებიდან გამოვლინდა 11 საუკეთესო და მათი ნამუშევრები დაიბეჭდა წიგნში „ჩვენ გავაჩერეთ დრო“.

7. პროექტი „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის დასახელება: „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის მოკლე აღწერა: პროექტის იდეა ეკუთვნით ფოთელ ახალგაზრდებს: ლუკა ცომაიას, ხატია კუპრაძეს, თამარ გუჯაბიძესა და ანანო ზარანდიას. მათი სურვილი იყო გამოეცათ წიგნი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ფოთელი ახალგაზრდების შემოქმედება. წიგნის გამოცემა ითვალისწინებდა როგორც ახალგაზრდა მწერლებისა თუ პოეტების, ისე მხატვარ-გრაფიკოსების გამოვლენას სხვადასხვა კონკურსის შედეგად.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ქალაქის ნიჭიერ, შემოქმედ მოსწავლეთა გამოვლენა და მათი აზრებისა და შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 6 ნოემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა მეორე კონკურსი მოსწავლეთათვის სახელწოდებით „ნორჩი მხატვრები“ (გრაფიკოსები), სადაც მონაწილეობა მიიღო 70მდე მოსწავლემ.

პროექტის შედეგი: კონკურსში მონაწილე მოსწავლეებიდან გამოვლინდა 12 საუკეთესო მხატვარი (გრაფიკოსი), რომელთა ნამუშევრებიც დაიბეჭდა წიგნში „ჩვენ გავაჩერეთ დრო“.

8. მრავალფეროვნების ფესტივალი

პროექტის დასახელება: „მრავალფეროვნების ფესტივალი“.

პროექტის მოკლე აღწერა: მრავალფეროვნების ფესტივალი არის პროგრამა „მრავალფეროვნების სკოლის“ შემაჯამებელი ღონისძიება. მრავალფეროვნების სკოლა არის საგანმანათლებლო, აქტიური მოქალაქეობის პროგრამა, რომელიც 2012 წელს შეიქმნა.

პროექტის მიზანი: პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში პლურალისტული საზოგადოების ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებას. ეს არის პროგრამა ახალგაზრდებისთვის, ვინც დაინტერესებულია სამოქალაქო აქტივიზმით, სურთ უნარ-ჩვევების განვითარება და საკუთარი იდეების განხორციელება. მრავალფეროვნების სკოლას ორგანიზებას უწევს არასამთავრობო ორგანიზაცია ირის ჯგუფი - მრავალფეროვნების მართვა, გერმანული ასოციაცია MitOset e.V-სთან თანამშრომლობით.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 15 ნოემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში ჩატარდა მრავალფეროვნების ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო გამოფენა-ინსტალაცია, პრეზენტაციები და ცოცხალი მუსიკა. 24მა მონაწილემ წარმოადგინა 10 პროექტი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან

პროექტის შედეგი: სტუმრები აქტიურად ჩაერთვნენ დაგეგმილ აქტივობებში და ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

9. „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის დასახელება: „ჩვენ გავაჩერეთ დრო“

პროექტის მოკლე აღწერა: პროექტის იდეა ეკუთვნით ფოთელ ახალგაზრდებს: ლუკა ცომაიას, ხატია კუპრაძეს, თამარ გუჯაბიძესა და ანანო ზარანდიას. მათი სურვილი იყო გამოეცათ წიგნი, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა ფოთელი ახალგაზრდების შემოქმედება. წიგნის გამოცემა ითვალისწინებდა სხვადასხვა კონკურსის შედეგად როგორც ახალგაზრდა მწერლებისა თუ პოეტების, ისე მხატვარ-გრაფიკოსების გამოვლენას.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია ქალაქის ნიჭიერ, შემოქმედ მოსწავლეთა გამოვლენა და მათი აზრებისა და შემოქმედების საზოგადოებისთვის გაცნობა.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 20 ნოემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების სამკითხველო დარბაზში მოეწყო წიგნის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტიდან, საჯარო თუ კერძო სკოლებიდან და ა.შ. პროექტში მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები და წიგნები. პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ წიგნი „ჩვენ გავაჩერეთ დრო“.

ამ კუთხით ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას იჩენს ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა მიმართ და ყოველმხრივ გვერდით უდგას მათ საინტერესო პროექტების განხორციელებაში, რაც დადებით ემოციებს იწვევს მოსახლეობაში.

150 წიგნი და 30 სიგელი დაიბეჭდა სტამბაში „ირიდა“.

პროექტის სპონსორები იყვნენ: შპს „გზა-მშენებელი - 13“, მაღაზიათა ქსელი „უნივერსამი“, გივი ცხვიტავა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“ დირექტორი ნინო ბაკურაძე.

პროექტის შედეგი: პროექტის შედეგად დაიბეჭდა წიგნი, სადაც წარმოდგენილია ფოთელი ახალგაზრდების შემოქმედება.

10. კოლხური ღვინის ფესტივალი „დია“

პროექტის დასახელება: კოლხური ღვინის ფესტივალი „დია“.

პროექტის მოკლე აღწერა: კოლხური ღვინის პირველ ფესტივალზე კოლხური ჯიშებისგან დამზადებული ღვინოების პრეზენტაცია და დეგუსტაცია გაიმართა. ფესტივალში მეღვინეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებლები. სოფლის მეურნეობის სივრცეებთან ერთად მოეწყო ტურისტული და ART სივრცეებიც. ART სივრცეში წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები, მოეწყო სხვადასხვა სახეობის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ხუტა კვარაცხელიას, ჯანო დანელიასა და ზაურ ცხადაიას ნამუშევრები (სულ 10 ნამუშევარი), რომლებიც თემატურად იყო მიძღვნილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან.

პროექტის მიზანი: ფესტივალის მიზანია კოლხური ღვინის პოპულარიზაცია და ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა. ფესტივალის სიმბოლო

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 24 ნოემბერს, სამეგრელო-ზემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ზუგდიდში, სკეიტ პარკის ტერიტორიაზე კოლხური ღვინის ფესტივალი „დია“ ჩატარდა.

პროექტის შედეგი: ფესტივალს ბევრი სტუმარი ჰყავდა სხვადასხვა ქალაქიდან და დიდი მოწონება დაიმსახურა.

11. კრეატიული ნაძვის ხე

პროექტის დასახელება: კრეატიული ნაძვის ხე.

პროექტის მოკლე აღწერა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით კონკურსი „ყველაზე კრეატიული ნაძვის ხე“ გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სკოლებმა, ასევე საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ფაზისი“. თითოეულმა სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა მასალით დამზადებული კრეატიული ნაძვის ხე. კონკურსის ფარგლებში დასახელდა 3 ნომინაციაში გამარჯვებული 7 ნაძვის ხის ავტორი.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია, რომ ქალაქ ფოთის საჯარო თუ კერძო სკოლები აქტიურად ჩაერთონ გამოცხადებულ კონკურსებში, წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და შემოქმედებითი უნარი.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 23 დეკემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზის ტერიტორიაზე მოეწყო კრეატიული ნაძვის ხეების გამოფენა-კონკურსი.

პროექტის შედეგი: გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილმა ნაძვის ხეებმა დიდი მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებლებში. კომპეტენტურმა ჟიურიმ კი 3 სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული 6 ავტორი დაასახელა, ესენი არიან:

- „ყველაზე მხიარული ნაძვის ხე“ - სსიპ თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის №1 საჯარო სკოლა;
- „წლის საუკეთესო დიზაინი“ - სსიპ ნიკო ნიკოლაძის სახელობის ქალაქ ფოთის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლა, შპს წმ. ნიკოლოზის სახელობის ქალაქ ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა;
- „წლის მიგნება-აღმოჩენა“ - სსიპ გიორგი ჭყონდიდელის სახელობის №7 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ფოთის №12 საჯარო სკოლა.

12. გამოფენა-კონკურსი ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

პროექტის დასახელება: გამოფენა-კონკურსი ნიკოლოზ თაბუკაშვილის პრემიის მოსაპოვებლად.

პროექტის მოკლე აღწერა: ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა. იგი ენიჭება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში შესრულებულ ნამუშევარს. წელს გამოფენა-კონკურსზე ძირითადად აფხაზეთის თემაზე შესრულებული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზიდან აღნიშნულ გამოფენა-კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხატვარმა ხუტა კვარაცხელიამ, რომელმაც საქართველოს მასშტაბით მეორე ადგილი დაიკავა.

პროექტის მიზანი: გამოფენა-კონკურსის მიზანია საზოგადოებას უფრო ახლოს გააცნოს თანამედროვე ქართველი მხატვრების შემოქმედება. ასევე, წახალისოს მხატვრები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ და ქმნიან ახალ, საინტერესო ნამუშევრებს.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მხატვართა კავშირის გალერეა „ოპიზარში“ გაიმართა ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოფენა-კონკურსი. პროექტის მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს მხატვართა კავშირი, აფხაზეთის მხატვართა კავშირი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.

პროექტის შედეგი: გამოფენა-კონკურსში მონაწილე და გამარჯვებულ მხატვრებს გადაეცათ სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები. გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებლებში.

13. სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ნამუშევრების საახალწლო გამოფენა

პროექტის დასახელება: ქალაქ ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ნამუშევრების საახალწლო გამოფენა.

პროექტის მოკლე აღწერა: ყოველწლიურად ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი მასპინძლობს სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგთა და მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შესრულებული ნამუშევრები.

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია საზოგადოებას გააცნოს სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეთა და პედაგოგთა ნამუშევრები.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საახალწლო თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

პროექტის შედეგი: გამოფენას ბევრი დამთვალიერებელი ჰყავდა და წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა მათგან.

14. საახალწლო თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი მოსწავლეებისთვის

პროექტის დასახელება: საახალწლო გამოფენა-კონკურსი მოსწავლეთათვის.

პროექტის მოკლე აღწერა: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზი ყოველწლიურად აცხადებს საახალწლო თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-კონკურსს, რომელიც ითვალისწინებს როგორც სურათების, ისე კრეატიული ნამუშევრების ხეების წარმოდგენას. წარმოდგენილი ნამუშევრებიდან კი ყოველი 30 საუკეთესოს გამოავლენს.

პროექტის მიზანი: კონკურსის მიზანია საახალწლო განწყობის შექმნა, ნიჭიერი, შემოქმედი მოსწავლეების გამოვლენა და მათი წახალისება.

პროექტის განხორციელება: 2019 წლის 24 დეკემბერს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საახალწლო გამოფენა-კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტის შედეგი: გამოფენა-კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ფოთის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა. მათ წარმოადგინეს კრეატიული ნამუშევრები, რომლებმაც დიდი მოწონება დაიმსახურა დამთვალიერებლებისგან. 2020 წლის 22 იანვარს გაიმართება გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება.